ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

2

გამოცემის 54-ე წელი, № 149. იანვარი. 1977. ფასი 20 კაპიკი.

ნ.ბ. ჯ. ლოლუაძე

— ეგ რა გიქნია?!
— კინოში მიდებენ!..

ნახ. მ. აბაშიძისა

— ჩვენთან ამ მხრივ სიმკაცრეა, უხარისხო პროდუქციის გამომშვებს თავს ვჭრით!

საქართველოში ოდითგანვე ბევრი რამაა დაკავშირებული ერთ-ერთ ულამაზეს ფრინველთან — ხოხობთან.

Phasianus ornis — მდინარე ფაზისის ფრინველი. რიონნის ჭალებიდან აფრენილ, მზეზე ათასფრად აელვარებულ ხოხობს სხვა სახელი ვეღარ მოუძებნეს მისი სილამაზით გაოცებულმა და თვალმოჭრილმა უცხოელმა მოგზაურებმა, ისე იყო ეს ყელაფერადებული ფრინველი საქართველოს მოხატულ მთა-ველებთან შეხამებული. ამიტომ შეარქვეს იგივე სახელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: le Faisan—ფრანგებმა, Фазан — რუსებმა, A pheasant — ინგლისელებმა, Der Fasan — გერმანელებმა, რომ იგი ენდემურია, მხოლოდ საქართველოს ტურფა ჭალებში დაგოგმანებს.

ელჩებმა და დიდვაჭრებმა უცხო რამ არმაღანად აქციეს ხოხობი, მეფეთა გასაოცებელ და საკადრის საჩუქრად!

თუმცა, შესაძლოა, უფრო ადრეც გაეტანათ იგი სამშობლოს საზღვრებს გარეთ. როგორ დავიჯეროთ, რომ იაზონს (მას ხომ ყველაფერი ლამაზი მოსწონდა კოლხეთში...) ოქროს საწმისთან ერთად ხელისთვის არ გაეყოლებინა ეს არაჩვეულებრივი ფრინველიც — ფაზიანუს ორნის!

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა და, ჟამთა სრბოლაში, ქართველი ხალხის შემეცნებაში ხოხობი სილამაზისა და სიკეთის სიმბოლოდ გადაიქცა.

„მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი!..“

მღეროდა ქართველი ხალხი მაყრულს — ამ სიკეთის, წმინდა სიყვარულის, სიცოცხლის საწყისის სიმღერას. ვინ მოთვლის, რამდენი მშვენიერი რამ შეუთხზავს ქართველ ერს ხოხობთან დაკავშირებით, როგორ ულოლიავებია მისთვის, როგორ მოუწონებია თავი მისი სილამაზით.

„ხოხბის საყელო ვიპოვნე,
ყანაა თვირთვილიანი,
ბიჭმა რომ გოგოს აკოცოს,
განა რა სირცხვილი არი“.

სოფლად თუ ქალაქად ხშირად გაიგონებთ „მწყერივით ქალიაო“, — უდავოდ წყნარი, სათნო ქალია ნაგულისხმევი, ხოლო თუ ყური მოკარით — „ხოხობივით ქალიაო“, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მზეთუნახავი ყოფილა!

მისმა „მზეთუნახაობამ“ და განუმეორებელმა სილამაზემ ათქმევინა დიდ პოეტს ეს სიტყვები:

„ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი.
ელავს ბაღი — ხოხბის ყელი,
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი.
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი...“

დაბოლოს, რომანტული, მომხიბლავი ლეგენდა ვახტანგ გორგასალის ნადიროობისა:

...მეფემ ცხენს ქუსლი ჰკრა და ოდნავ წინ წააგდო ბარდნარისაკენ, რომლის ნოტიო ძირებში გვიმრას გაედგა ფესვი. წამით შეყოვნდა, თვალით მონახა გასასვლელი და დაიბრდღვიალა ფრინველმა...

კრიახით აფრინდა მამალი ხოხობი, წიოკით გაიფანტნენ ხოხბის ვარიკები...

კაპუტი მიუსია მეფემ მზეზე ათასფრად ალაპლაპებულ მამალს...

თუმცა, ვინ არ იცის საქართველოს სატახტო ქალაქის — ჩვენი სათაყვანებელი თბილისის დაარსების ეს ლეგენდა თუ სინამდვილე, რომლის სიმბოლოდ ხოხობი ქცეულა?!

ამიტომ უფრო გვაცებს ის გარემოება, რომ ამ ფრინველის პატივისცემისა და მისით ესთეტური ტკბობის მაგიერ ჩვენს მოზარდ თაობას — ბავშვებს — სულ საწინააღმდეგო გრძნობებს უღვივებენ გულში ასეთი მოთხრობებით:

„ხოხბები და კაკბები

(იგავ-არაკი)

ერთი ჭალის პირას ხოხბები და კაკბები ცხოვრობდნენ. ყოველ წელს მრავალი ხოდაბუნი იხვნებოდა. ხოხბებსაც და კაკბებსაც, რასაკვირველია, საკმარ ნაკვები ჰქონდათ. როცა ჭამის დრო მოუვიდოდათ, ზღვასავით მღელვარე ყანაში ერთად გაიშლებოდნენ და ძმურად შეექცეოდნენ.

დიდხანს ცხოვრობდნენ ასე ტკბილად, მათი უსიამოვნება არავის გაუგონია.

ბოლოს ხოხბებმა მეგობრობა დაივიწყეს და ჭალა-

მინდვრებიდან კაკბების გარეკვა მოიწადინეს. იფიქრეს, იფიქრეს და ასეთ ხერხს მიმართეს. მივიდნენ მელიასთან და უთხრეს: თუ ჩვენ გვარს არ შეეხები, სამუდამო ლუკმას გაგიჩენთო.

მელიას რა ეხარჯებოდა, პირობა მისცა და მორჩილება აღუთქვა. ხოხბებმა მელიას სათითაოდ უჩვენეს ჭალაში კაკბების ბუდე-ბინადრობა.

მელია შეეჩვია ხოდაბუნს, სათითაოდ გამოიზოგა საბრალო კაკბები და მალე ბოლო მოუღო. მაგრამ ვაი შენს მტერს: მელიას აღთქმა გადაავიწყდა და ახლა ხოხბებს მიჰყო ხელი“. (სტილი დაცულია).

ამ ნაწარმოების ავკარგიანობაზე არაფერს ვამბობთ, გარდა იმისა, რომ იგი ალექსანდრე. მირიანაშვილის კალამს ეკუთვნის. მაგრამ გვაოცებს ის ამბავი, რა ნახეს მასში ისეთი ღირსშესანიშნავი „ქართული ენის“ მესამე კლასის სახელმძღვანელოს შემდგენლებმა, რომ ეს ვაი-არაკი წიგნში შეიტანეს?

გამოდის, რომ ეს ტურფა ფრინველი — ჩვენი დედაქალაქის დაარსების სიმბოლო — ყოფილა ორგული, მზაკვარი, მოღალატე, ვერაგი, ქვებუდანა, ბეზღი... მოკლედ, ყოვლადსაზიზღარი არსება.

სიტყვა რომ ძალიან აღარ გაგვიგრძელდეს, ერთი საკითხავია გვაქვს: ვის ან რაში სჭირდება ეს?

ზურღან ყორღანაშვილი

წერილი ნიანგს—ხევსურეთიდან

უნდა მოგწერო, რას ვიზამ, —
გამხელილი სჯობს ცოდვები:
მთვარეზე დასეირნობენ
დღეს ჩვენი — „ლუნახოდები“,
მრავალ პლანეტას, თუმც მათთან
გრძელი მანძილი გვაშორებს,
ვუყურებთ, როგორც დიდი ხნის
მოწყენილ სათამაშოებს...
ხევსურეთში კი (ღმერთს ვფიცავ,
გულს მკაწრავს სევდის ეკალი!)
არ ვიცით ტელევიზორი,
მისი ცისფერი ეკრანი...
ქალაქს ვიყავი ძმობილთან,
კაცი გავოცდი, გავცეტდი,
ბევრ საკვირველ მინახავ,
იმისთანა კი არც ერთი.
ის რომ აქ მამცა, სად წავალ,
აღარ ვინაღვლებ ბედზედა,
„არ გავსცვლი სალსა კლდეებსა
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“
ისე კი გზებსაც შაგვპირდნენ,
თურმე ტყუილად ვღელავდით...
„გზას ვამბობ, თორემ რა გზაა“,
ხვლიკი „ტორმუზით“ ვერ ადის...
მ უ ცო შ ი, გ ვ ე ლ ე თ-ლ ი ქ ო კ შ ი
დავდივარ, როგორც მთამსვლელი,
ყველა გაიქცა, ჩემს მეტი,
მე კი არ ვიცი, რას ველი!
აქეთ მ ა წ მ ა ო, დ ა თ ვ ი ს ი,
იქით — რ ო შ კ ა დ ა ა რ ხ ვ ა ტ ი...
შენ გეტყვი, რამე აჯობებს
წალკოტი, ანდა ნახატი!..
ყვავილასხმული გორები,
ველები, რა სანახები,
სხვისთვის არ გასამეტები,
მტრისთვის არ დასანახვები!
შენი იმედი შემოგვრჩა,
უნდა გვიშველო რამეთი!
ავანსად გიხდი მადლობას,
მადლობის მეტი რა მეთქმის!

ხევსურების დავალებით —

გალათერ არაგული



გაპანღურება

სულხან საბა როგორ განმარტავს ამ სიტყვას არ ვიცი, თვითონ მე კი, როცა ამ გამოთქმას ყურს მოვკრავ, თვალწინ წარმომიდგება მარჯვედ მოქნეული მარჯვენა ფეხი და შეხურებული საჯდომი.

ჩემი აზრით ესაა მოქმედება ქვემოდან ზემოთ (იშვიათად ხდება ხოლმე ცხოვრებაში) და თუ ამ დროს მარდად მოქნეული მარჯვენა ფეხის მიერ დახარჯულ ენერგიას გავიანგარიშებთ, დავრწმუნდებით, რომ იგი ტოლია საჯდომშელანძღულის გულის ძარღვის წნევისა და შეურაცხმყოფელის შუბლის კანის სისქისა — საქმე გვაქვს ძალზე საშიშ და საყურადღებო ავადმყოფობასთან, რასაც დამცირება ეწოდება.

ეს რთული და ავადმოსახსენებელი სენი კანტიკუნტადღა თუ გაიელვებს ჩვენში.

აქვს გადატანითი მნიშვნელობაც...

თეიმურაზ ლანჩავა

გაუმარჯოს ამხანაგ ფულავას!

თამადამ მიკროფონი მაგიდის კიდეზე მოხერხებულად ჩამოდებულ ღიპთან მიიტანა, იჩოჩა და ხუთასკაციანი სუფრის გასაგონად შიგ ომახიანად ჩასძახა:

— ახლა, ამხანაგებო, მე ვადღეგრძელებ სიძე-დედოფლის სიყრმის მეგობრებს, — თამადამ წინასწარ შედგენილი სია ცხვირთან მიიტანა და ბორძიკით განაგრძო, — ამხანაგ ტიტიკოს, ამხანაგ კაკუტასა და ამხანაგ მარგალიტას.

— ტიტიკო ერთი გახვრეტილი თუმნიანით მოვიდა ქორწილში! — უჩურჩულა თამადას ვიღაცამ და ეს სიტყვები ხუთასმა კაცმა გაიგონა.

— ესე იგი, — იხტიბარი არ გაიტეხა თამადამ, — მე ვადღეგრძელებ კაკუტას და მარგალიტას, სიძე-დედოფლის უგულითადეს მეგობრებს, რომლებიც...

— კაკუტამ 25 მანეთი შეაწია ოჯახს, ვინაა ბაგის მათხოვარი?!

თამადამ ჩაახველა და განაგრძო:

— მაშასადამე, მე ვადღეგრძელებ ჩვენი დედოფლის უსაყვარლეს მეგობარს ამხანაგ მარგალიტას...

თამადის არამკითხე თანაშემწემ და შემოსავლების დარგში ოჯახის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თითზე დაიფურთხა, უშველებელი დავთარი გადაფურცლა და 500 კაცის წინამძღოლს კვლავ უჩურჩულა:

— არც ბაგას მოუკლავს თავი! დედოფალს სამმანეთიანი წიგნი მოუტანა.

— წიგნიო?!.. ხა-ხა-ხა-ხა!.. — ჩაბჟირდა თამადა. — წიგნიო, კაცო, დედოფალი სკოლაში უნდა ატარონო, ხა-ხა-ხა!..

— წინათ ვეფხისტყაოსანს მზითევში ატანდნენ ქალს! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ვინ თქვა ბაგი?! — დაინტერესდა თამადა, — მასე თუა, წინათ, ბიძია, ქალებს კაბებიც კი ეცვათ!.. წიგნიო, ვეფხისტყაოსანიო! — აქ ქორწილია, ბაბა, სამკითხველო კი არაა!

— დაგვალევინე რამე, შე კაცო! — ვერ მოითმინა ვიღაც ახმახმა, — აქ მოსატანი ფულის საშოვრად ორი კვირა ვდვრიდი ოფლს და ახლა შენს გაბრტყელებულ სიტყვებს ვუსმინო?!

— რამდენი მოიტანა ბაგან?! — გადაულაპარაკა თამადამ თანაშემწეს.

თანაშემწემ ისევ დაისველა თითი, ისევ ჩაჰყო ცხვირი დავთარში და სლოკინით ამოიკითხა: — ფულავა, გაღმა სოფლიდან, 50 მანეთი.

— მაშასადამე, მე, ამხანაგებო, ვადღეგრძელებ, — დაიწყო თამადამ. — სიძე-დედოფლის უძვირფასეს სიყრმის მეგობარს ამხანაგ ფულავას.

— ფულავა პირველად ხედავს სიძე-დედოფალს და თანაც 65 წლისაა! — შეახსენეს თამადას.

— მეგობრობამ არ იცის დრო, მანძილი და ასაკი... კაცი რომ ოჯახს 50 მანეთს შეეწევა, მეგობარიც არის, მოყვარეც და ნათესავიც! ერთი სიტყვით, გაუმარჯოს ამხანაგ ფულავას! — დაასკვნა თამადამ და უშველებელი ყანწის წვერი სეფის ბრეზენტის ჭერს მიაბჯინა.

ივერი ტაბიძე

საწყობის გამგისა და რევიზორის შეთანხმება

გამგე:

თქვენთან რა მაქვს დასამალი,
„ცხოვრება“ ხომ ყველას გვინდა:
გავკარი და გამოვკარი, —
ათასები გადმოფრინდა.

შენც გამიგე, მეგობარო,
და გაჩუმდი: მერე ვნახოთ!..
კმაყოფილი კი დარჩები,
ერთმანეთი შევინახოთ!

რევიზორი:

მე გაგიგე, ამხანაგო,
გავაკეთებ დასკვნას მალე:
ფული, ფული, საყვარელო,
ცოტა ბლომად ჩამითვალე!

* * *

ასეც მოხდა და თამამად
შეადგინეს „საქმე სწორი“.
წაასწრეს და დაიჭირეს
გამგეცა და რევიზორიც.

ნოე კლატონიძე



ნახ. ო. ჯაშისა

უსიტყვოდ

ნახ. ელინო მაჟაჟვილისა

— კიდევ კარგი, უხარისხო ფინდეკს ეშველებენ, თორემ ამდენ ხანს რაში შეინახავდა კაცი?

ლიმიტის ლიმიტირება

ჩვენი ცხოვრების გარშემო არსებობს უამრავი ლიმიტი, ლიმიტი დაფინანსებაში, გათბობაში, კაცრების გაწყვეტილებაში, არხებაში, მოხსნაში, ზოგიერთ სავაჭრო ბაზებშიც... ლიმიტი ფართად შეიჭრა სწავლა-განათლებაში. ახლა ყველას უნდა ლიმიტის მუზარადი დაიხუროს და დალაქრის ინტერტიტი და ასპირანტურა.

რაკი ყველას აქვს ლიმიტი, „ნიანგსაც“ გაუჩნდა ლიმიტზე ლიმიტირებული საცრი.

1977 წლიდან ლიმიტირებულ სატირის ფაკულტეტზე ჩასარიცხად ამოწმენული არიან: **ქარელის რაიონის ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ეროფეტ დონიტაროვი (ოთოლოგანა) ნაპალეონ მიხეილის ძე, ასარეულგანიზაციის მდივანი მეასანოწმენელი გრიშე ზასარიანის ძე, კაკრების ინსპექტორი ალიკაძე პაშა გრიგოლის ასული, ინჟინერ-მექანიკოსის მოვალეობის შემსრულებელი მეასანოწმენელი ილია ნესტორის ძე** და რაიონის ხელმძღვანელი მეშაკები.

„მოსაშზადებელ“ კურსებზე მათ უნდა ჩაბარონ გამოცდები შემდეგ დისციპლინაში: **„სოფლის ახალგაზრდობის გაგზავნა ინტერტიტის მოსამზადებელ კურსებზე“.**

მათ შორისაც კანდიდატური ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობიდან: **ტრაქტორისტი ხუციშვილი პაატა არჩილის ძე და** მეცხოველეობის **მწყემსი ნადირაშვილი სამინ ფანკანეის ძე**

ამ ორი კანდიდატურიდან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსამზადებელ კურსებზე უნდა ჩარიცხულიყო ერთი მსმენელი.

ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მეშა-მოსამსახურეებმა ლიმიტი მიანდვეს **პაატა ხუციშვილს,** რომელიც საშეაღლო სკოლის დამთავრების შემდეგ მოეწყო მეურნეობაში ტრაქტორისტად. საბჭოთა არმის რიგებში გაწვევამდე, 1972—73—74 წლებში, მას გამომშვებებული ჰქონდა 224 კაცდელი. მისი შრომა დადასტურდა: ოფიციალური წლის ახალგაზრდა მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად. შემდეგ გაიწეოს სამხედრო სამსახურში, სადაც მსახურობდა სატანკო ნაწილში. ეს აქვე მოლეს ბარბის წევრად. 1976 წლის მაისის ბოლოს პაატა დამონტაჟა სამხედრო ნაწილიდან. იმავე თვეში მიაკითხა მეურნეობას, სადაც ადრე მუშაობდა. მისი განცხადება განიხილა იმერეთიულმა დირექტორმა ნ. თოლოროლიძ ეა იგი გაეფორმა ტრაქტორისტად.

ასეთი პიროვნების ჩქარნი ახალგაზრდას ვინ ეტყოდა უარს სწავლის გაგრძელებაზე! მაგრამ მოხდა სასწაული, გადაამოწმეს პაატა ხუციშვილის საბუთები...

„შენი სამეშაოზე დანიშვნის ბრძანება არ არსებობს!“ — უთხრეს.

„თავის დროზე მე განცხადება დავწერე! დირექტორმა რეზოლუცია დაადო! მეურნეობის ტრაქტორისტად ვმეშაობ!.. განცხადება ნახეთ!.. თუ არადა, ჩემი ხელფასის, პარტიისა და პროფკავშირის საწევროების უწყისები ნახეთ!“ — ეეიდერებოდა პაატა ხუციშვილი.

„შენი განცხადება არ ადმინდნდა მეურნეობის კანცელარიაში, თორემ არც ტრაქტორის მამოვეს ეუდლა ყმოილ!“ — ეთხრეს რაკოში.

„ოოაკა კაბეში მოსაკეთს ასალგაბდ კოპაანინთ მაგზანეიდთ, რატომ მაშინ არა მეითხეთ; ჩქონდა თუ არა ტრაქტორის მართვის მოწმობა?“ — ეეპასუხა პაატამ.

ბოდა, ბო! პაატას ჯარში ტანკს ანდობდნენ, საბჭოთა მეურნეობაში ყველანარ ტრაქტორს ზვილეეთი ამბობენ და ეს დღემდე არ იცის ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ტრაქტორის მართვის მოწმობის გამცემმა კომისიამ?!

ფიროთო მაგიდაზე მსახურაღი ხელი მიმიდდ დაეშვა: პაატას „ანდიდატურა მოიხსნა! ბის მაგიერად მოსამზადებელ კურსებზე წაეიდა **ნადირაშვილი სამინ ფანკანეის ძე,** რომელიც ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ლიმიტის მოსახვეშად ქარელთან სამეშაოდ მოიყვანა მისმა ცოლისძმამ, ამავე მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. **გ. მეეანნოშვილმა.**

რაკი ასრულდა ზოგ-ზოგის სურვილი და პაატა დარჩა ლიმიტის გარეშე, მაშინ ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში „ადმინაჩინეს“ უამიზნოდად დაკარგული პაატას სამეშაოზე მიღების განცხადება, ნ. თოლორაიას რეზოლუციით: — „გაიფორმეთ ტრაქტორისტად!“

„კაცრების ინსპექტორს რომ ჰკითხეს: რეზოლუციის დადების შემდეგ, რატომ მაშინვე არ გაიფორმეთ პაატა ტრაქტორისტადო? მან უპასუხა: „მართლის მოწმობა არ ჰქონდა, ამიტომ ვერ გავიფორმეთ!. ამაზე მე დირექტორსაც დავუწერე ახსნა-განმარტების ბარათი, მან კი განცხადება გადაუწერა ინჟინერ-მექანიკოსს ი. მეეანნოშვილს“ და ასე შემდეგ: მრავალტანჯული განცხადება ყანწეიანთ გადადიოდა ხელიდან ხელში. ეს კომპანია დღესაც მიმდინარეობს! პაატა დღესაც არაა სამეშაოზე ბრძანებული გაფორმებული, თუმცა ეკ შრომობს და შრომობს, ხნავს მეურნეობის ველ-მინდორებს! ხელფასსაც გვარიანს ღებულ!

პატივცემულო ლიმიტმინანსებელნენ! რატომ დაიკარგა პაატას განცხადება სწორედ მაშინ, როცა მისთვის ლიმიტის მიცემის საკითხი წყდებოდა?

ერთი რამ კი ნათელია: ამ შემოხვევამ და დაკარგულმა ლიმიტმა შეიძლება ველი გაუტეხოს ხუციშვილისთან. ბევრ მეკანიზატორსა და მეშას, რომლებიც პატიოსანი შრომით უმადლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობენ. ■

ავთანდილ ადეიშვილი

თამაზ ჭეიშვილი

ვის რა ეკუთვნის გასამრჯელოდ

თავფასი — მწერალს, ვინც თავით მართლაც
ბევრი და კარგი რამანი წერა,
თვალფასი — მხატვარ-ბატონს, ფერადი ფერნი —
მისი მზერით რომ ქაღალდი ფიფაზ.

ხმაფასი — ხმატკბილ მომღერალს ნათლად
ფეხს რომ შეარხევს ომისი ბგერა.
ზურგფასი — ტორისტს, ზურგზე რომ ჩანთა
ჰკიდია, სივრცეს თვალებით ზვერავს.

კუნთფასი — შტანგისტს, კუნთებს რომ სწვართავს,
ძალლა სიმძიმის აწევა სკერა.
ყურფასი — სტეფანტს, ყურებს რომ მართავს
და ეუმეს ლეტტორს, ყურს გაეკვს ძგერა.

თითფასი — მბეჭდავს, რომ ბეჭდავს სხარტად,
ისმის თითების კაკუნი, ქიერა,
ნერვფასი — დაწლის გამყიდველს, მარდად
რომ წონის, სახეს სიფიცხე ფერავს.

ფეხფასი — სწრაფად მორბენელს, ქართან
რომ აქვს შეჯიბრი, ბილიკებს თელავს,
ხელფასი — ბუფალტერს, რადგან
საკუთარ ხელით ფულს ეუწერს ყველას...

გიორგი ზეთიკაური

პაჭიოსანი კაცი

ფრთხილად შეეკვე ადგილიმის თავმჯდომარის კაბინეტის კარი. დიდ მაგიდასთან პატარა, ჩასუქებული, ქერა-ხუქიკუთმიანი, ჰალტუნიანი, სახელფიფაკანიფიული ინტერტიტლის ინტერტიტის ინტერტიტლის ინტერტიტლის ინტერტიტლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული შარჟი თ. გოგოლაძისა

70 წლის ლაკრენტი ჭიჭინაძეს

ოქროს კალმით ნორჩ თაობებს
მოაფინე სიხარული!
შენი ნიჭი სათავეა
სიკეთის და სიყვარულის!

ხარ მართალი შემოქმედი
და მოღვაწე სხივოსანი!
ხარობს მთელი საქართველო
შენ რომ იმკი, იმ მოსავლით!

შენი ზრუნვით, ამაგით და
ქართველობით დაქარგული —
გლოცავს „ნორჩი ლენინელი“,
„პიონერი“, „ნაკადული“!..

ოცზე მეტი კარგი წიგნის
ორნამენტით გიბრწყინავს მზე!
კიდევ უფრო გაგვიბრწყინდი! —
გთხოვთ, ლავრენტი ჭიჭინაძე!

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

60 წლის ვახტანგ ნინუას

ხარ მსახიობი ხალასი,
სახალისო და სახალხო!
სიცილის ღმერთმა მაღალმა
ხელი არასდროს აგაღოს!

კომიზმითა და ჰუმორით —
ჩვენი სცენა და ეკრანი —
ამღერებული ღიმილის
დიდ თაიგულად შეჰკარი!

შენს ტრიუმფ-იუბილეზე
შენი თაყვანისმცემლები
ტიროდნენ აღტაცების და
აღფრთოვანების ცრემლებით!

ორი ათას წელს შეგხვდები
(დროს ამის დარდი ნუ, ნუ აქვს)
და ვახტანგურად დავლიოთ,
ვახტანგ ნინუავ, ნუნუა!

ზაურ გოლქვაძე

ზემო რაჭიდან

ეს საახალწლო ბარათიც მიიღეთ ზემო რაჭიდან,
გულსაც მოგართმევთ, მხურვალეს, სხვაგან თუ არსად დამჭირდა!

მოგეხსენება, წერილებს ვინ ასე იწყებს, ვინ — ისე,
ჰოდა, ქართული მოკითხვა საერთოდ ყველა თბილისელს.

ყველას: მუშას თუ ინჟინერს, სომხებს, ქურთებს თუ ქართველებს,
ვინც გზაზე ისე გაივლის, არც სულს შეისვრის, არც ხელებს.

ყველა დღევანდელ კაცუნას და მომავალში დასასჯელს,
ჩავარდნას ერთჯერ ვუსურვებ, გამოსწორებას — ათასჯერ.

ჰავლე არის თუ ნესტორი, ძმისწულია თუ დისწული —
გული ქართული გვქონოდეს, მიდგომა — კომუნისტური.

გადაეც ჩვენებურებსაც, რვა-ცხრაფუთიან რაჭველებს, —
თავს ნუ უხრით-თქო, ბიჭებო, ვინც მანეთიანს გაჩვენებს.

ორ ომს არასდროს უნახავს კაცმა აჭრელოს ბაჭული,
„მხარჯველებს“ მიველაქუცო — ამაში რაა რაჭული?!

წესია, შენს ხალხს, შენს კუთხეს მარჯვენით რამე ახარო.
ნამუსიც! მთელი სამყაროც! მუცელში როგორ ჩავყარო?!

შენთან ბოდიში, ნიანგო, გული დამისხლტა, გავბრაზდი,
როცა ჩემს ზეცას გავცქერი, გული არ მიღირს აბაზიც.

მინდა ქართული რიონი ქედს არ უხრიდეს არაფერს
და ეფრქვეოდეს შხეფებად ქართული გულის ქარაფებს.

აი, ეს სიტყვა მინდოდა, გიგზავნი ზემო რაჭიდან,
გულსაც გიგზავნი — გეხუმრე — სწორედ ამაში დამჭირდა.

ზ. რაჭველი



ნახ. ნ. მართაზვილისა

უსიტყვოდ

ნახ. გ. აბაზაძისა

— ათი მანეთი!
— ხუთი მანეთი!

— ...
— შვიდი მანეთი!

— ...
— კაი, კაი, ათი მანეთი!

ჭორიკანა

კაცია და მგონი
ქალობს,
ჭურში ზის და
ჭორიკანობს.

ქარიერისტის ქარიკატურა

თითქოს თავიდან რაც დაგისახავს,
მისთვის განწირვა დაგბედებია,
თითქოს შენა ხარ, რაც ხარ, ვინცა ხარ
და განა სხვები დაგედრებიან?!

ილია არონსია

მინიატურა

— ალო, მარგალიტა ხარ?
— დიახ.
— რატომ არ მოხვედით კვირას შენ და გრიშა ჩემთან.
— გრიშა, შაქრო და გურგენა სათევზაოთ იყვნენ...
— რამდენი დაიჭირეს?
— სამივე.

ნ. იოსებიძე

ეთერშია ხარისხი

ქედის რაიონში წყალი, ჰაერი და მზე უმაღლესი ხარისხისაა. წვიმის წყალსაც ვერავინ დაიწუნებს, მაგრამ სწორედ წვიმის წყალია აჭარკოოპკავშირის მიერ აშენებულ სასურსათო მაღაზიის სახურავიდან რომ ჩამოდის. მაღაზიაში ყოველდღიური მოხმარების სურსათია. გამყიდველები საწვიმარი მოსასხმელებით მუშაობენ, მყიდველები ქოლგებით შედიან, სურსათი დასველებული და დაობებული მიაქვთ სახლში. რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შაქარი, პური და საკონდიტრო ნაწარმი წვიმის წყალითაა გაჟღენთილი. ამ მაღაზიაში კარგ ამინდშიც კი წვიმს, სახურავზე დაგროვილი წყალის წყალობით. აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, კარგი იქნებოდა ცოცხალი თევზი რომ იყიდებოდეს.

— : — : —

თემქის დასახლების მეორე მიკრორაიონის მეორე კვარტალის 38-ე და მე-40 კორპუსებში 182 ოჯახი ცხოვრობს. ეს თოთხმეტსართულიანი სახლები იმდენად „კეთილსინდისიერად“ და „ხარისხიანად“ აშენდა რომ „მადლობის“ მეტი აბა, რა ითქმის.

ჰოდა, აქაური მაცხოვრებლები „ერთოპ ნასიამოვნები“, „გახარებულები“ არიან სახურავიდან წყალი რომ ჩამოდის, გათბობის სისტემა რომ არ მუშაობს. მილებიდან სუფთა და ჭუჭყიანი წყალი ერთნაირად ჟონავს. ელექტროენერგია „ხარისხიანი“ გაყვანილობის გამო ალაგ-ალაგ უხარისხოდ ბჟუტავს. სარდაფები ნაგვითა და სამშენებლო მასალების ნარჩენებითაა სავსე. კედლებიდან გაჯი თოვლის ფიფქებივით ცვივა. კარ-ფანჯრები არ იკეტება. „ელექტროაპარატის“ გაერთიანების ხელმძღვანელობას და „პლასტმასის“ ქარხნის დირექციას ეს არ ეხებათ?

საინტერესოა ვისი დამსახურებაა ასეთი ხარისხი?

— : — : —

გორში ყიფიანის ქ. № 13-ში აშენდა ახალი „კეთილმოწყობილი“ გარშემო ტალახით იზოლირებული — სახლი. შინ თუ გარეთ ერთნაირად ქრის ქარი. კარ-ფანჯრები დაღრეცილია და არ იკეტება. კედლები გაულესავია. ელექტროგაყვანილობა დაწყვეტილია, წყალგაყვანილობა არ მუშაობს. ამ სახლის მშენებლებს ალბათ ჰგონიათ, „ხარისხიანი“ და „კეთილმოწყობილი“ სახლი ავაშენეთო. საინტერესოა, თვით მაცხოვრებლებს როგორ ჰგონიათ?!

ჟანი სიხარულიძე

ისეთი აზრები

● ისეთი ძუნწი იყო, ყურსაც არ ათხოვებდა კაცს.

● ისეთი თავმდაბალი იყო, არც ერთ საჩივარს ხელს არ აწერდა.

● თავის ნამდვილ აზრებს არ მალავდა და ყველა ინტრიგანს უწოდებდა.

● კალაპოტიდან იყო ამოვარდნილი და მაინც ჩავარდნას საყვედურობდნენ.

● ყველაფერს თავს არიდებდა და მორიდებულ კაცად თვლიდნენ.

ა. თავაძე

● ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო... და პენსიონერი სკამს აღარ თმობდა.

ჯ. უთრუთაშვილი

ნახატი თემების ავტორები: ბი: ბ. აბაშიძე, ბ. ლომაძე, ლ. ბარათაშვილი, ე. ! ბაკურ შვილი, ვ. სიხარულიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიფანიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭიჭინაძე. ⊙ სამრიანი და ეფემერის ეროვნული „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ბეჭდვითი ორგანოს „ბალადა ასაფხიზად“ 23/XII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I-77 წ. მაღალი ბეჭვა 70×108 1/8 ფიზიკური ნახევარი ფურცელი 2. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ 4236 ფდ 00606. ტირ. 141.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
ზურღლან გამსახურდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ატირებს იოზეფ ლუნსს?

ცრემლი, როგორც ცნობილია, დასაძრახი როდია. ტირილი შეუძლია ყველას განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური მრწამსისა, კანის ფერისა და ასაკისა. აცრემლებული თვალები გვინახავს როგორც ღრმა მწუხარების, ისე დიდი სიხარულის ჟამს, სტირიან ყველგან: აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ქვითინებენ პრეზიდენტები არჩევნებში დამარცხებისას და გოგონები საჭადრაკო პარტიის წაგების შემდეგ.

ასე რომ, ჩვენს დროში, ისევე როგორც ძველად, ცრემლი თავისთავად პრობლემა არ არის, პრობლემა სხვა სიბრტყეში უნდა ვეძიოთ: რამ გამოიწვია თვალების დანამიანება?

აი, მაგალითად, საკითხავია რა აწუხებს ჩრდილოეთ-ატლანტიკის პაქტის გენერალურ მდივანს იოზეფ ლუნსს? რატომ არის, რომ მისი ყოველი გამოსვლა მწარე ქვითინით მთავრდება?

მოდით, ნუ დავიწყებთ მკითხაობას და პირდაპირ პატივცემულ იოზეფს მივ-

მართოთ. დასაწყისში, ცხადია, ვერაფერს გაიგებთ, გარდა ცალკეული სიტყვებისა: „საბჭოთა სამხედრო ძალა... რაკეტები... ტანკები...“ და ისინიც ცრემლთა ნიაღვარს მიაქვს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თუ თავს ძალას დაატანთ, მიხვდებით, რისი თქმა უნდა.

თურმე ნუ იტყვით, კეთილშობილ იოზეფს აწუხებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი მიისწრაფვის სამხედრო უპირატესობის მიღწევისაკენ ევროპაში, ქმნის მასობრივი განადგურების ახალ იარაღს, ემუქრება თავდასხმით ზოგიერთ ქვეყნებს (მაგალითად, იუგოსლავიას), ქმნის სამხედრო ბაზებს ინდოეთის ოკეანეში, არღვევს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას და ა. შ.

საბრალო ლუნსი! თქვენ მას ამშვიდებთ, უხსნით, რომ ვიღაც ბოროტმა სულმა ისარგებლა მისი გულუბრყვილობით და ყველაფერი თავდაყირა წარმოუდგინა: მართლაც, რად უნდა საბჭოთა კავშირს სამხედრო უპირატესობა, თუ იგი განიარაღებას მოითხოვს და სერიოზულად აწარმოებს მოლაპარაკებას ამ მიმართულებით; ახალი სამხედრო იარაღი (ე. წ. ფრთიანი რაკეტები) იქმნება არა სსრ კავშირში, არამედ შეერთებულ შტატებში; იუგოსლავიაში საბჭოეთიდან მხოლოდ კეთილი ნების მისიები „იჭრება“ და არა ჯარები; ინდოეთის ოკეანეში მდებარე სამხედრო ბაზები კუნძულ დიეგო-გარსიაზე ეკუთვნის ამერიკას და არა ჩვენს ქვეყანას...

ყოველი თქვენი არგუმენტი მწარედ ხვდება გულზე ლუნსს. იგი უკვე აღარ ტირის. იგი ღრიალებს და ნამდვილი ისტერიკა ემართება: მაშ ვინ დაიპყრო ვიეტნამი? ლაოსი? ანგოლა? თქვენ გაოცებული ხართ, მაგრამ თავს იკავებთ და მშვიდად უხსნით, რომ აღნიშნული ქვეყნების განთავისუფლება თვით ამ ქვეყნების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგია.

ეს უკვე მეტისმეტია. ამას ლუნსიც ვერ აიტანს, იგი წამოვარდება და ყვირის: ეს კომუნისტური პროპაგანდაა! სწორედ ამ პროპაგანდამ დაგვღუპა ჩვენ. შეასუსტა ჩვენი სამხედრო ძალები, არ გვაძლევს სამხედრო ხარჯების გაზრდის საშუალებას!

აი, თურმე, სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი. ლუნსი აღარ ტირის, მისი ცრემლები მხოლოდ ნიანგის ცრემლები იყო, ისე კი. კაცმა რომ სთქვას, რას ვერჩით ნიანგს? რატომ ვაყენებთ მას შეურაცხყოფას?

ზანზი ბარა

სოლსბერიში უკანონო რასისტული რეჟიმის მეთაური სმიტი, რომელმაც ფაქტიურად ბოიკოტი ჟენევის კონფერენცია როდეზიის საკითხის შესახებ, აძლიერებს პროვოკაციებს დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

სმიტმა აშკარად აღიარა, რომ ამისათვის მას ერთობ მნიშვნელოვან მატერიალურ მხარდაჭერას პირდებიან დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები.

ნაცადი იარაღი



ნახ. გ. ლომიძისა

სამხრეთ აფრიკის საიდუმლო პოლიციის აგენტები უთვალთვალებენ პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებმაც თავი დაადწიეს ფორსტერის რასისტულ რეჟიმს და ინგლისში ჰპოვეს თავშესაფარი. პროგრესული საზოგადოება ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვს უკანასკნელთა ალაგმვას, მაგრამ ამაოდ. ფორსტერის აგენტებს საიმედოთ მფარველობს თვით ინგლისის საიდუმლო სამსახური.

უსიტყვოდ